

სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის

ბრძანება №13/6

2020 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ და „კ.ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის მეთოდოლოგია“ თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის
სააგენტოს უფროსი

ოთარ ძიძიკაშვილი

რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოთვლის მეთოდოლოგია (შემდგომში – მეთოდოლოგია) შემუშავებულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად.
2. მეთოდოლოგიის შემუშავებაში გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა – დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) და ევროპის საბანკო ასოციაციის (EBA) სახელმძღვანელო პრინციპები.
3. მეთოდოლოგია ეფუძნება გამჭვირვალობის, თანაბარი და სამართლიანი მიდგომის, ხელმისაწვდომი ინფორმაციის და კონფიდენციალურობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
4. მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №21/6 - ვებგვერდი, 28.06.2023წ.

მუხლი 2. კონფიდენციალურობა და ზოგადი პრინციპები

1. მეთოდოლოგია საერთოა და საჯაროა ყველა კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის, ხოლო თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის გამოანგარიშებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის.
2. თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა მტკიცდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების



დაზღვევის სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კანონის და ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალურ ოდენობას თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის ამტკიცებს ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 სექტემბრისა (მომდევნო კალენდარული წლისთვის) და წარუდგენს შესაბამის კომერციულ ბანკს და მიკრობანკს.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №21/წ - ვებგვერდი, 28.06.2023წ.

მუხლი 3. აგრეგირებული რისკის წონა

კომერციული ბანკის აგრეგირებულ რისკის წონასთან მიმართებით სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ხელმძღვანელობს „სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და ინვესტირების, სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანის დაკისრების კრიტერიუმებისა და წინასწარი შენატანის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №228/04 ბრძანებით დადგენილი წესით თითოეული კომერციული ბანკისთვის გამოთვლილი აგრეგირებული რისკის წონით. ამავე ბრძანების შესაბამისად გამოითვლება აგრეგირებული რისკის წონა მიკრობანკისთვისაც.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №21/წ - ვებგვერდი, 28.06.2023წ.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 მარტის ბრძანება №31/წ - ვებგვერდი, 01.04.2025წ.

მუხლი 4. რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანი

1. ამ მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის შესაბამისად მიღებული აგრეგირებული რისკის წონა გამოიყენება თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის გამოსათვლელად.

1¹. სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია აგრეგირებული რისკის წონის მიღებამდე კომერციულ ბანკს და მიკრობანკს დაუწესოს კანონით დადგენილი რეგულარული სადაზღვევო შენატანის მაქსიმალური ოდენობა.

2. სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ადგენს რეგულარული სადაზღვევო შენატანის საერთო ოდენობას, მაგრამ არაუმეტეს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობისა. აღნიშნული ოდენობის გამრავლებით აგრეგირებულ რისკის წონაზე გამოითვლება რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის.

3. რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა მრგვალდება მეთათათასედამდე.

4. რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა თითოეული კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის გამოითვლება ამ მეთოდოლოგიის დანართის შესაბამისად.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 22 თებერვლის ბრძანება №18/წ - ვებგვერდი, 23.02.2023წ.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №21/წ - ვებგვერდი, 28.06.2023წ.

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 მარტის ბრძანება №31/წ - ვებგვერდი, 01.04.2025წ.

დანართი №1 (ამოღებულია)

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 მარტის ბრძანება №31/წ - ვებგვერდი, 01.04.2025წ.

დანართი

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №21/წ - ვებგვერდი, 28.06.2023წ.

სიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 მარტის ბრძანება №31/წ - ვებგვერდი, 01.04.2025წ.

რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის ფორმულა

სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ადგენს რეგულარული სადაზღვევო შენატანის საერთო ოდენობას ყველა კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის, მაგრამ არაუმეტეს კანონის მე-13



მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური ოდენობისა. საბოლოო ინდივიდუალური ოდენობა გამოითვლება აღნიშნული ოდენობის გამრავლებით თითოეული კომერციული ბანკის და მიკრობანკის აგრეგირებული რისკის წონაზე.

რისკზე დაფუძნებული რეგულარული სადაზღვევო შენატანის ოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$Ci = (CRi\ gel\times CDi\ gel) + (CRi\ fx\ x\ Cdi\ fx)$$

სადაც, თითოეულ შემადგენელს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- Ci – ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანი შესაბამისი კომერციული ბანკისთვის და მიკრობანკისთვის;
- CRi gel – ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა ლარში დაზღვეული დეპოზიტებისთვის;
- CRi fx – ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანის ინდივიდუალური ოდენობა უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტებისთვის;
- CDi gel – ლარში დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა;
- Cdi fx – უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა.

მაგალითი:

ბანკი	აგრეგირებული რისკის წონა	ოდენობა ლარში (CR gel)	ოდენობა უცხოურ ვალუტაში (CR fx)	რისკის წონის მიხედვით დაკორექტირებული ოდენობა ლარში (CRi gel), %	რისკის წონის მიხედვით დაკორექტირებული ოდენობა უცხოურ ვალუტაში (CRi fx), %
ბანკი 1	0,910	0,03333	0,06667	0,0303	0,0607
ბანკი 2	1,074	0,03333	0,06667	0,0358	0,0716

აღნიშნული მაგალითის შესაბამისად, ბანკი 1, ლარში დაზღვეული დეპოზიტებისთვის გამოიყენებს 0,0303%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტებისთვის - 0,0607%-ს. ანალოგიურად, ბანკი 2, ლარში და უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტებისთვის იხელმძღვანელებს შემდეგი ოდენობებით - 0,0358% და 0,0716% შესაბამისად.

